ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ 2019 წლის 19 მარტის

სხდომის ოქმი № 1

ქ. ახალციხე **2019 წელი, 19 მარტი**

სხდომას ესწრებოდნენ:

ზაზა მელიქიძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი
რუბენ კარაპეტიანი	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
ევა იველაშვილი	ადმინისტრაციული და იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი
ქეთევან ინასარიძე	სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ნინო რუხაძე
2. მალხაზ მანველიშვილი
3. ნინო ლომიძე
4. თამარ კაპანაძე
5. ზაზა ივანიძე
6. მაკა ბერიძე
7. ვასილ კვინცხაძე
8. ომარ ჯაყელი
9. შალვა ტაბატაძე
10. ციური ლაფაჩი
11. გიორგი ბუცხრიკიძე
12. ბელა ავალიშვილი
13. მერაბ ბერიძე
14. გივი კაპანაძე

15. გიორგი ანდღულაძე

16. ნუგზარ თათეშვილი

სხდომას არ ესწრებოდნენ „ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. თენგიზ ხითარიშვილი
2. ელენა ბეგიაშვილი
3. პოღოს მაგაკიანი
4. ასთხიკ სარქისიანი
5. დოდო ბერიძე
6. ცირა მესხიშვილი
7. ვალიკო ბალიაშვილი
8. ჭიჭიკო გელაშვილი
9. სუსანა აკოფოვა
10. ოგანეს უსტიან

დღის წესრიგი

1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ;
2. ახალციხის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ;
3. ახალციხის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ;

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი ზაზა მელიქიძე „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრებს მიესალმა და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები გააცნო.

ზაზა მელიქიძე საბჭოს წევრებს დეტალურად ესაუბრა მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების თაობაზე. ამ დროისთვის, ახალციხის მუნიციპალიტეტის მასშტაბით სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს. ესენია, ქალაქ ახალციხეში მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების გარე ფასადების, სადარბაზოებისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, საგზაო ინფრასტრუქტურის

რეაბილიტაცია სოფელ სხვილისსა და სოფელ ურაველში, სოფლების წინუბანი-გურკელი-აგარა-ზიკილია-მუგარეთის სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, მაგისტრალური მილსადენის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-რეაბილიტაცია, გარეგანათების ქსელის მოწყობა სოფელ ხეოთში, ქ. ვალის კულტურის სახლის რეაბილიტაცია (II ეტაპი), ქ. ახალციხეში ზარზმელის ქუჩაზე კიბის მოწყობა და ქალაქ ვალეში, თამარ მეფის ქუჩაზე საფეხმავლო ბილიკის მოწყობა (მე -5 ეტაპი).

განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა დაგეგმილ მასშტაბურ პროექტებზე. ესენია ქლაქ ახალციხეში საცურაო აუზის მშენებლობა, მუნიციპალიტეტის მასშტაბით ორი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა, ქალაქის № 1 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია, ფარეხის ტერიტორიაზე მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფრის მშენებლობა, სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (სახურავები და სველი წერტილები) და სხვა.

მერმა ასევე ისაუბრა, ქ. ახალციხეში რუსთაველის ქუჩაზე ყოფილი სასაზღვრო ნაწილის ტერიტორიის გადმოცემაზე და აღნიშნულ ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის (ახალგაზრდული ცენტრი, საბავშვო ბაღი და სხვა) მოწყობაზე.

აღინიშნა, რომ ქალაქის მასშტაბით ოთხი საბავშვო ბაღი და იუსტიციის სახლი ენერგო ეფექტური სისტემით აღიჭურვება. პროექტს მუნიციპალური განვითარების ფონდი დააფინანსებს.

მუნიციპალიტეტის მერმა ისაუბრა სოფლებში განხორციელებულ პროექტებზე (გზები, საბავშვო ბაღები, ახალგაზრდული ცენტრები, ბიბლიოთეკები, წყალსადენი და სარწყავი სისტემები, გარე განათება) და მათ მნიშვნელობაზე, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით. განსაკუთრებული

აქცენტები გააკეთა სახელმწიფო პროგრამებზე, როგორიცაა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, „აწარმოე საქართველოში“ , „დანერგე მომავალი“, „შეღავათიანი აგროკრედიტი“ და ა. შ.

შეხვედრას ესწრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრის წარმომადგენლები მარინა კუპატაძე, რუსუდან გვარამაძე და ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციიდან ნინო ნაცვლიშვილი. მათ მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მნიშვნელობაზე ისაუბრეს და დადებითად შეაფასეს მისი მუშაობა. ასევე, იმსჯელეს მოქალაქეთა გააქტიურებაზე და მათი ჩართულობის აუცილებლობაზე. ამასთან, გამოთქვეს მზადყოფნა, საჭიროების შემთხვევაში მათი ორგანიზაციების მხრიდან მხარდაჭერაზე.

სხომაზე ხმათა უმრავლესობით საბჭოს წევრებმა თავმჯდომარედ აირჩიეს არასამთავრობო ორგანიზაცია სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშემწყობი ცენტრის დირექტორი ნინო რუხაძე.

„სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს' წევრებმა წარმოდგენილი პროექტები მოიწონეს და გამოთქვეს მოსაზრებები:

დემოკრატ მესხთა კავშირის ხელმძღვანელმა გია ანდღულაძემ ქალაქის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე ისაუბრა.

სამცხე-ჯავახეთის სახელწმიფო უნივერისტეტის რექტორის მოადგილემ, მერაბ ბერიძემ გამოთქვა მოსაზრება ახალციხისთვის სტუდენტური ქალაქის სტატუსის მინიჭების თაობაზე. ასევე, ქალაქში სტუდენტური საერთო საცხოვრებლის აშენების საჭიროებაზე.

სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშემწყობი ცენტრის დირექტორმა ნინო რუხაძემ ქალაქის იერსახისა და განსაკუთრებით კერძო საკუთრებაში არსებული სახლების გარე ფასადების მოწესრიგებაზე, მწვანე ნარგავების გაშენებაზე და მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის როტაციის პრინციპით არჩევაზე გაამახვილა ყურადღება.

მუზეუმის დირექტორმა ციური ლაფაჩმა სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების ხელშეწყობაზე, მათ გააქტიურებასა და დასაქმებაზე, ზოგადად სოფლების გაძლირებაზე ისაუბრა.

სახალხო მთქმელმა ვასილ კვინცხაძემ მრჩველთა საბჭოს ფუნქციის და მისი წევრების მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის შესახებ ისაუბრა. მან ასევე აღნიშნა, რომ ქალაქში დასუფთავების კუთხით მნიშვნელოვნად მოწესრიგებულია მდგომარეობა და მერიის შესაბამის სამსახურებს მადლობა გადაუხადა აღნიშნული კუთხით გაწეული მუშაობისათვის.

შეხვედრის დასასრულს იმჯელეს საბჭოს მიერ წარმოდგენილი წინადადებების განხორციელების შესახებ. მერმა აღნიშნა, რომ მათი გათვალისწინება შესაძლებლობის ფარგლებში მოხდება, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ბიუჯეტებიდან დაფინანსებით.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1 ნინო რუხაძე _____

2 თენგიზ ხითარიშვილი _____

3 მალხაზ მანველიშვილი _____

4 ნინო ლომიძე _____

5 ელენა ბეგიაშვილი _____

6 თამარ კაპანაძე _____

7 ზაზა ივანიძე _____

8 პოლოს მაგაკიანი _____

9 ასთხიკ სარქისიანი _____

10 დოდო ბერიძე _____

11 მაკა ბერიძე _____

12 ვასილ კვინცხაძე _____

13 ომარ ჯაყელი _____

14 შალვა ტაბატაძე _____

15 ციური ლაფაჩი _____

16 გიორგი ბუცხრიკიძე _____

17 ბელა ავალიშვილი _____

18 მერაბ ბერიძე _____

19 გივი კაპანაძე _____

20 გიორგი ანდღულაძე _____

21 ცირა მესხიშვილი _____

22 ნუგზარ თათეშვილი _____

23 ვალიკო ბალიაშვილი _____

24 ჭიჭიკო გელაშვილი _____

25 სუსანა აკოფოვა _____

26 ოგანეს უსტიან _____